

# 3

# ბუნება

## მოსწავლის ნიგნი

ნაწილი II

მაია ბლიაძე • რუსულან ახვლედიანი



გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტროს მიერ 2018 წელს.

# გინეარსი

4

## სინათლე და სითბო

33. სინათლე .....	6
34. სინათლის გავრცელება .....	8
35. რატომ წარმოიქმნება ჩრდილი? .....	10
36. სითბო .....	12
37. სითბოს გადაცემა .....	15
38. მზე – სინათლისა და სითბოს წყარო .....	17
39. სითბოს კარგი და ცუდი გამტარები .....	19
პროექტი. ჩრდილების თეატრი .....	22

5

## პუშანოვანები და გათი განვახო

40. ძუძუმწოვარი ცხოველები .....	26
41. გარემოსთან შეგუება .....	28
42. სად ბინადრობენ ძუძუმწოვრები? .....	30
43. რით და როგორ იკვებებიან ძუძუმწოვრები? .....	34
44. ზამთრისთვის მზადება .....	36
45. იქ, სადაც ძალიან ცხელა .....	38
46. იქ, სადაც ძალიან ცივა .....	40
47. თავდაცვა და თავდასხმა .....	42
48. ერთად ცხოვრება .....	46
49. საქართველოს ძუძუმწოვრები .....	48
პროექტი. ძუძუმწოვარი ცხოველების დახასიათება და დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით .....	50

**6****ბერძნის**

.....	55
50. ბგერები ჩვენ ირგვლივ.....	56
51. ბგერის წარმოქმნა.....	58
52. ბგერების გავრცელება.....	60
53. როგორ გვესმის? .....	62
54. ბგერა და მუსიკა.....	65
ჩაატარე	
კვლევა. რამდენად კარგად გესმის? .....	67
ლექსიკონი .....	69
დანართი .....	74

# 4

## თავი

# სინათლე და სითბო



### აქ შეიტყობი:

- რა არის სინათლისა და სითბოს წყარო;
- როგორ ვრცელდება სინათლე და სითბო;
- როგორ ატარებს სინათლეს და სითბოს სხვადასხვა სხეული;
- როგორ მოქმედებს ორგანიზმებზე მზის სითბო და სინათლე.

### შეძლებ:

- ამოიცნო სინათლისა და სითბოს ბუნებრივი და ხელოვნური წყაროები;
- დააკვირდე სინათლისა და სითბოს გავრცელებას;
- დაიცვა უსაფრთხოების წესები სინათლის და სითბოს წყაროების გამოყენებისას.

## სხეულები

### გაიხსენი

როდის ხედავ

საგნებს უკეთ:  
დღისით, შებინდე-  
ბისას თუ ღამით?



სინათლის გარეშე ირგვ-  
ლივ წყვდიადი იქნებოდა.




სინათლის დახმარებით  
ვაკვირდებით სხეულების  
ფორმას, ზომასა და ფერს.

სხეულები ბინდში მკაფიოდ არ ჩანს. ბნელ, უმთვარო ღამეში კი გზის გაგნება თითქმის შეუძლებელია. სხვა-დასხვა სხეულის დასანახად სინათლე გვჭირდება.

მზეს, სანთლის ალს, ელექტრონათურას, ვარსკვლავებს, ციცინათელასა და ზოგიერთ სხვა სხეულს ერთი საერთო თვისება აქვთ – ისინი სინათლეს ასხივებენ, ანათებენ. მანათობელ სხეულს სინათლის წყარო ეწოდება. სინათლის წყარო შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური.

სინათლის წყაროები ერთმანეთისგან ნათების სიძლიერით განსხვავდებიან: ზოგი უფრო მეტად ანათებს, ზოგიც – შედარებით ნაკლებად. რაც უფრო ვშორდებით სინათლის წყაროს, ნათების სიძლიერეც იკლებს.




სურათზე რომელია სინათლის ბუნებრივი წყაროები? როგორ ფიქრობ, მოცემული სინათლის წყაროებიდან რომელს აქვს ყველაზე ძლიერი ნათება და რომელს – ყველაზე სუსტი?

სხეულების უმეტესობას ვერ ვხედავთ, რადგან მათ არ შეუძლიათ სინათლის გამოსხივება. ასეთი სხეულების დანახვას მხოლოდ მას შემდეგ შევძლებთ, რაც მათ მზე, ნათურა ან სინათლის სხვა წყარო მიანათებს.

თითქმის ყველა ცხოველს შეუძლია განასხვაოს სინათლე სიბნელისგან. სინათლესა და ირგვლივ არსებულ საგნებს ჩვენ მხედველობის ორგანოთი – თვალით ვხედავთ.

თვალის შუაში მდებარეობს მუქი ფერის ნაწილი, რომელსაც გუგა ჰქვია. შებინდებისას ან ცუდად განათებულ ოთახში ჩვენი გუგები ფართოვდება, რომ თვალში მეტი სინათლე შევიდეს და ყველაფერი უკეთ დავინახოთ. კაშკაშა სინათლის დროს გუგები სწრაფად ვიწროვდება.



ოთახში ნათურის ანთებისას სინათლე სხვადასხვა საგანს ხვდება, მათგან კი შენს მხედველობის ორგანომდე აღწევს. სურათის მიხედვით დაადგინე, რომელ საგნებს დაინახავ ნათურის ანთებისას.

## სავარჯიშოები

- 1** რატომ ხედავ ანთებულ ნათურას ღამით? ვარსკვლავს? ციცინათელას?
- 2** რატომ ხედავ შენ გარშემო არსებულ სხეულებს?
- 3** რატომ ვერ ხედავ სხეულებს სიბნელეში?
- 4** რატომ მცირდება ნათების სიძლიერე სინათლის წყაროდან დაშორებისას?
- 5** გადაიხაზე ცხრილი რვეულში, ჩამოთვალე სინათლის წყაროები და დააჯგუფე ისინი ცხრილში:

სინათლის გუგების რიცხვი ცვალო	სინათლის ხალოვნები ცვალო
600	700




ზოგიერთი ადამიანი კარგად ვერ ხედავს. ამის გამო ისინი სათვალეს ატარებენ.

## ✓ დაიმახსოვრე

საწერ მაგიდასთან გაკვეთილების მომზადების დროს ნათურა მარჯვენა მხრიდან უნდა ანათებდეს.

## იზიძრე

დააკვირდი თვალის ორ სურათს (ა, ბ). რომელი სურათია გადაღებული კაშკაშა განათების დროს? პასუხი ახსენი.



## სინათლის გავრცელება



სინათლის სხივის მიმართულებას ნახატებზე ისრებით აღნიშნავენ.



მზის სხივების გავრცელებას შეგიძლია ტყეში დააკვირდე.

### დაიმასოვანა



მზისთვის, ლაზერისათუ კაშკაშა ფანრის შუქისთვის თვალის გასწორება არ შეიძლება, რადგან ამან შესაძლოა მხედველობის დაზიანება გამოიწვიოს.

ალბათ შეგინიშნავს, რომ ბნელ ოთახში თუ ფარდას ოდნავ გადასწევ, მზის სინათლე სწორი, ვიწრო ზოლის – სხივის სახით შემოაღწევს.

როგორ ვრცელდება სინათლე გარემოში? ერთგვაროვან გარემოში, მაგალითად, ჰაერში, სინათლე ნრფივად ანუ სწორხაზოვნად ვრცელდება.

### დაკვირვება

**საჭირო მასალა:** ლაზერი ან სხვა სახის ფანარი.

**მსვლელობა:**


ბნელ ოთახში აანთე ლაზერის ან სხვა სახის ფანარი და დააკვირდი, როგორ ვრცელდება მისგან გამოსული სხივი. შემდეგ მიმართე სხივი სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, იატაკის, კედლისა და ჭერისკენ. აღნერე, რას ამჩნევ და გამოიტანე დასკვნა.

სინათლის წყაროები ერთმანეთისგან სიძლიერით განსხვავდებიან: ზოგი ძლიერია და უფრო მეტად ანათებს, ზოგიც სუსტია და შედარებით ნაკლებად ანათებს.

ციცინათელას აქვს ნათების უნარი, მაგრამ მისი ნათება ძალიან სუსტია. ციცინათელა ჩვენ ვერ გაგვინათებს გზას ღამით. მისი ნათება საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ თავად ციცინათელას ფრენას დავაკვირდეთ.

მზე ძალიან ძლიერად ანათებს. სწორედ ამიტომ აღნევს მზის სინათლე დედამიწამდე, რომელიც მისგან 150 მლნ. კილომეტრითა დაშორებული. როდესაც ვშორდებით სინათლის წყაროს, ნათების სიძლიერე იკლებს. რაც უფრო შორს არის პლანეტები მზისგან, მით უფრო ნაკლებ მზის სხივებს იღებენ ისინი და ამიტომ ისე ძლიერად ვერ ნათდებიან, როგორც დედამიწა.

ყველაზე ძლიერი სინათლის წყაროც კი, ერთნაირი სიძლიერით ვერ გაანათებს მისგან ახლოს და შორს მდებარე სხეულებს.



მზე კარგად ანათებს მასთან ახლოს მდებარე პლანეტებს – მერკურის, ვენერას, დედამიწას, მარსს. მზის კაშკაშა სინათლე ვერ სწვდება ურანსა და ნეპტუნს, ამიტომ ამ პლანეტებზე ბნელა და ცივა.

სინათლის სხივი  
ძალიან სწრაფად  
ვრცელდება. სა-  
ნამ შენ ერთხელ  
ჩაისუნთქავ და  
ამოისუნთქავ,  
სინათლის სხივი  
შვიდჯერ მოასწრებს  
დედამიწის შემოვ-  
ლას.

## სავარჯიშოები

- 1** ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელი უნდა ჩაისვას წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას? სხივი სინათლის წყაროდან \_\_\_\_\_  
ვრცელდება.
- 2** როგორ ფიქრობ, რა მოხდებოდა, სინათლე სწორხაზოვნად რომ არ ვრცელდებოდეს?
- 3** რა არის იმის მიზეზი, რომ ციცინათელა სიბნელეში გზას ვერ გაგვინათებს?
- 4** იუპიტერსა და სატურნზე აღწევს მზის სხივები, თუმცა ისინი ისე კარგად ვერ ნათდებიან, როგორც ჩვენი პლანეტა. როგორ ფიქრობთ, რატომ?

თუ გინდა, მეტი შეიტყო  
სინათლის გავრცელების  
შესახებ, ნახე ვიდეოფილმი:  
[http://www.optics4kids.org/  
home/content/classroom-  
activities/medium/](http://www.optics4kids.org/home/content/classroom-activities/medium/)



# ჩატოვა ნარმიქანება ჩრდილი?

## გაიხსენი

რა არის ჩრდილი?  
სად გინახავს  
ჩრდილი?

## დაკვირვება

**საჭირო მასალა:** პოლიეთილენის, პერგამენტის, მუყა-ოს ქაღალდები.

**მსვლელობა:**

განსხვავებულ მასალებში სინათლე ერთნაირად არ ვრცელდება. მარტივი დაკვირვებით შეგიძლია შეისწავლო, როგორ ატარებს სინათლეს სხვადასხვა მასალა. ცალ თვალზე მორიგეობით აიფარე პოლიეთილენის, პერგამენტისა და მუყაოს ქაღალდი, როგორც სურათებზეა ნაჩვენები. აღნერე, როგორ დაინახავ საგნებს სხვადასხვა მასალის მიღმა. გამოიტანე დასკვნა.



სხეულს ან ნივთიერებას, რომელშიც სინათლე სრულად ვრცელდება, გამჭვირვალეს უწოდებენ. ასეთია მაგალითად, მინა, ზოგიერთი პლასტმასა.

ზოგიერთი სხეული სხივს ატარებს, მაგრამ მის მიღმა რაიმეს დანახვა ძალიან ძნელი ან შეუძლებელია. ასეთ სხეულებს ნახევრად გამჭვირვალე ჰქვია, რადგან მასში სინათლის მხოლოდ ნაწილი ვრცელდება. მაგალითად, პერგამენტის ქაღალდი, დაორთქლილი მინა.

ხშირად სინათლის სხივს რაიმე დაბრკოლება, მაგალითად, კედელი ან იატაკი ხვდება. ამ შემთხვევაში სინათლე სწორხაზოვნად აღარ ვრცელდება და ჩვენ ვერ ვხედავთ, რა ხდება კედლის მიღმა. ასეთ სხეულებსა და ნივთიერებებს, რომლის შიგნით სინათლე არ ვრცელდება, გაუმჭვირვალე ეწოდება.




სავარცხელი ნათურისგან მოშორებითაა.



სავარცხელი ახლოსაა ნათურასთან.



## დაიმახსოვრებელი



როცა სინათლის სხივი გაუმჭვირვალე სხეულს ეცემა, მაშინ ამ სხეულის მეორე მხარეს ბნელი არე – ჩრდილი წარმოქმნება. ჩრდილის წარმოქმნა სინათლის სწორხაზოვან გავრცელებას ამტკიცებს. ჩრდილის ფორმა და ზომა ცვალებადია. სხეულის ჩრდილის სიგრძე ამ სხეულისა და სინათლის წყაროს ურთიერთგანლაგებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო ახლოა სხეული სინათლის წყაროსთან, მით უფრო დიდი ზომის ჩრდილს წარმოქმნის, ხოლო რაც უფრო შორსაა სხეული, ჩრდილი მით უფრო პატარა ზომისაა.

სინათლე კედელში არ ვრცელდება, რადგან კედელი გაუმჭვირვალეა.

## პრაქტიკული

**საჭირო მასალა:** რაიმე ფიგურა, ფანარი, თეთრი ფურცლები მსვლელობა:

ჩრდილის მისაღებად რაიმე ფიგურას ფანარი სამი მხრიდან მიანათე, როგორც ეს სურათებზეა ნაჩვენები.

ნინიდან



გვერდიდან



ზემოდან



სამივე შემთხვევაში წარმოქმნილი ჩრდილი წინასწარ გაკრულ თეთრ ფურცელზე შემოხაზე.

აღნერე ჩრდილები და შეადარე ერთმანეთს მიღებული ჩანახატები. არის თუ არა მიღებულ ჩრდილებს შორის განსხვავება? რა არის ამის მიზეზი?

შემდეგ ფანარი ჯერ მიუახლოვე, მერე კი დააშორე ფიგურას. დააკვირდი და აღნერე, როგორ შეიცვალა მისი ჩრდილი ფანართან მიახლოებისას და მისგან დაშორებისას.

## სავარჯიშოები

- ჩანერე ცხრილში შენ გარშემო არსებული სხეულები და მასალები. მათი დამახასიათებელი თვისებები აღნიშნე „+“-ით.

საეული, მასალა	გამჭვირვალე	ნასევრალე გამჭვირვალე	გაუმჭვირვალე
მინა	+	+	+

## სითბო

### გაიხსენი

**1.** როდის უფრო

თბილა:

- ა) შუადღით თუ დამით?
- ბ) ზაფხულში თუ ზამთარში?

**2.** რა მნიშვნელობა

აქვს მზის სითბოსა და სინათლეს დედამინისტვის?

**3.** რითი ზომავენ ტემ-

პერატურას?

ჩვენ არ შეგვიძლია სითბოს დანახვა, მაგრამ შეგვიძლია შევიგრძნოთ იგი. სხეული, რომელიც სითბოს გამოყოფს, სითბოს წყაროა. სითბოს წყარო შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური.

სითბოს წყაროები ერთმანეთისგან გამოყოფილი სითბოს რაოდენობით განსხვავდებიან. სითბოს ზოგიერთი წყარო მეტად მხურვალეა, ხოლო ზოგიერთი კი – ნაკლებად.



სურათზე რომელია სითბოს ხელოვნური წყაროები?

როგორ ფიქრობ, მოცემული სითბოს წყაროებიდან რომელია უფრო მხურვალე?

სითბოს გამოყოფს მანათობელი სხეულების ნაწილი, მაგალითად, სანთლის ალი, მზე. როგორც კი დედამინას მზის სხივი მოხვდება, დედამინის ზედაპირი გათბობას იწყებს და ჰაერის ტემპერატურაც იმატებს. სითბოს ვგრძნობთ კოცონის ცეცხლთან მიახლოვებისას.

დააკვირდი სურათებს.  
აღწერე, რა მიზნით იყენებენ ადამიანები ამ ხელსაწყოების მიერ გამოყოფილ სითბოს ან ცეცხლს.



ზოგიერთი სხეული მართალია ანათებს, მაგრამ თბილი არ არის. არის ისეთი სხეულებიც, რომლებიც არ ანათებენ, თუმცა სითბოს გამოსცემენ. სითბოს დანახვა შეუძლებელია, ამიტომ რთული ამოსაცნობია, როდის არის ასეთი სხეულები ცხელი. მათი სითბო რომ შევიგრძნოთ, უნდა შევეხოთ ან მივუახლოვდეთ.

ჩვენ სითბოს კანით შევიგრძნობთ. თუმცა, მხურგალე სხეულებთან შეხება სახიფათოა.



როდესმე გჭერია ხელში ციცინათელა? ის ანათებს, მაგრამ სითბოს არ გამოყოფს.




ადამიანის სხეულიც თბილია. სპეციალური თერმომეტრით შეგიძლია სხეულის ტემპერატურა გაიზომო. ჯანმრთელი ადამიანის ტემპერატურა  $37^{\circ}\text{C}$ -ს არ აღემატება.

## სავარჯიშოაპი

- 1 ჩამოთვალე სითბოს წყაროები და დაჯგუფე ისინი ცხრილში:

სითბოს გუნებრივი ცყარო	სითბოს ხალოვანი ცყარო
	ნიაზი

- 2 რა მიზნით იყენებს ადამიანი ცეცხლს?
- 3 როგორ შეიცვლება (მოიმატებს თუ მოიკლებს) თერმომეტრის ჩვენება, თუ მას ცივი ადგილიდან თბილ ოთახში შეიტან?
- 4 დააკვირდი სურათებზე თერმომეტრის ჩვენებას და დაადგინე, რამდენი გრადუსია ტემპერატურა სამივე შემთხვევაში?



### დაიგანვითონ

სითბოს წყაროები განსხვავებული რაოდენობის სითბოს გამოყოფენ.

ცხელ საგნებთან ყოველთვის ფრთხილად იყავი, რომ არ დაიწვა.